

გზამკვლევი

სასამართლო ლაბირინთებში

პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე

როგორ უნდა შევავსო **საჩჩელი?**

2011

?ეროვნული სავალდებულო ადგილი ეროვნული ეროვნული

?ეროვნული ეროვნული ეროვნული

?ეროვნული ეროვნული ეროვნული

?ეროვნული

გზამკვლევი
სასამართლო ლაბირინთებში

პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე

საქართველოს სასამართლო
ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის
რეფორმის პროექტი

2011

მოცემული გზამკვლევი დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოს სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის მიერ. გზამკვლევი მომზადებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.

ძვირფასო თანამოქალაქენო,

დემოკრატიული საზოგადოება საჭიროებს ისეთ სასამართლო სისტემას, რომელიც არა მხოლოდ დაფასებული იქნება მოქალაქეების მხრიდან, არამედ იქნება გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომიც. მხოლოდ ასეთი სასამართლოს მიმართ გაუჩნდებათ მოქალაქეებს ნდობა და პატივისცემა, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.

სასამართლოში მოსულმა ნებისმიერმა მოქალაქემ თავი დაცულად და კომფორტულად უნდა იგრძნოს. სამართალწარმოების ლაბირინთებში გარკვევა მოქალაქეებს სასამართლო პერსონალის კვალიფიციურმა პასუხებმა უნდა გაუადვილოს. მიმდინარე სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაც ხომ საზოგადოებასა და სასამართლოს შორის გამჭვირვალე და ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაა, ეს კი, პირველ რიგში, მოქალაქეების სასამართლოსთან ურთიერთობის გაადვილებით მიიღწევა. სასამართლო ხელისუფლება ბევრს აკეთებს სასამართლო მოხელეთა კვალიფიკაციის დონის ასამაღლებლად, ტარდება შესაბამისი ტრენინგები კომუნიკაციის სფეროში.

ბროშურა, რომელსაც ამჯერად წარმოგიდგენთ, სწორედ ამ ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ გადადგმული კიდევ ერთი, და ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

გზამკვლევი სასამართლო ლაბირინთებში – ასე შეიძლება ეწოდოს ამ გამოცემას, რომელიც გაგიწევთ პირველ დახმარებას სასამართლოსთან ურთიერთობის დროს. ჩვენ შევეცადეთ მარტივად, თქვენთვის გასაგები ენითა და ფორმით აგვეხსნა ის იურიდიული საკითხები, რომლებიც სასამართლო ზღურბლის გადალახვისთანავე ნებისმიერი თქვენგანის წინაშე შეიძლება დადგეს.

მარტივად და გასაგებად ჩამოყალიბებული პასუხები, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გაგიადვილებთ სასამართლოსთან ურთიერთობას და სასამართლო შენობიდან გასვლის შემდეგ აღარ გაგიჩნდებათ შეგრძნება, რომ დაიღალეთ უამრავ წვრილმან კითხვაზე სხვადასხვა კანცელარიაში პასუხის ძიებით.

დასასრულს, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ საქართველოს სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტს გზამკვლევის მომზადებისა და გამოცემის მხარდაჭერისათვის.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე

სარჩევი

1. როგორ უნდა შევავსო სარჩელი?.....4
2. რას მივაქციო ყურადღება სარჩელის ფორმალური მხარის დასაცავად?.....4
3. რომელ სასამართლოში უნდა შევიტანო სარჩელი?.....5
4. შეიძლება თუ არა სასამართლოში სარჩელი ჩაბაროს მოსარჩელისახლობელმა?.....6
5. რა შემთხვევაში დგინდება ხარვეზი განცხადებაზე ან სარჩელზე? რა შედეგებს იწვევს ხარვეზის შეუვსებლობა?.....6
6. როგორ გავიგო სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე და რომელ ბანკში შევიტანო იგი?.....7
7. ვინ თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან?.....10
8. როგორ გავიგო, რა შემთხვევაში დამიბრუნდება ბაჟი სრულად ან ნაწილობრივ და ვის უნდა მივმართო? 12
9. რა ვადებში განიხილავს სასამართლო საქმეებს?.....13
10. რამდენ დღეში მივიღე განაჩენს, განჩინებასა და გადაწყვეტილებას?.....14
11. როდის შედის კანონიერ ძალაში გადაწყვეტილება?.....15
12. რა ვადაში მიექცევა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებიაღსასრულებლად?.....16
13. რამდენ დღეში მივიღე სააღსრულებო ფურცელს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე?.....16
14. ვის შეიძლება მივმართო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ?.....16
15. რა ვადებში შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება?.....17
16. სად შეიძლება შევიტანო კერძო საჩივარი? რა ვადაში და რომელი სასამართლო იხილავს მას?.....19
7. როგორ გავეცნო განხილვის პროცესში არსებულ საქმეს?.....19
18. როგორ ხდება საარქივო საქმეების გაცნობა და ასლების გადაღება?.....20
19. სად და როგორ გადავიღო საქმის მასალების ასლები?.....20
20. როდის შეიძლება გავეცნო სხდომის ოქმს შენიშვნებისთვის? 21
21. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება თუ არა მინდობილობით მის ნაცვლად ახლობლის გამოცხადება?.....21
22. აუცილებელია თუ არა პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატის მონაწილეობა?.....22
23. როგორ ნაწილდება საქმეები მოსამართლეებს შორის?.....24
24. შეიძლება თუ არა, მოვითხოვო საქმის განაწილება კონკრეტულ მოსამართლეზე?.....24
25. რა შემთხვევაში და რომელ სტადიაზე შემიძლია მოსამართლის აცილება?.....25
26. როგორ მოვიძიო ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით?.....27
27. შეიძლება თუ არა სხდომაზე დაგვიანებით შესვლა?.....28
28. რა სახის იძულებითი ღონისძიებები გამოიყენება სხდომაზე წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ?.....28
29. შეიძლება თუ არა მხარეების თხოვნით პროცესის ნაადრევად დანიშვნა?.....29
30. ტელეფონით დაბარების შემთხვევაში დველოდო თუ არა უწყების მიღებას?.....29
31. თუ მხარეს უწყება ვერ ჩაჰბარდა, რა სამართლებრივი შედეგი დადგება?..... 30
32. მაქვს თუ არა უფლება, შევხვდე მოსამართლეს ან ტელეფონით ვესაუბრო მის წარმოებაში არსებულ საქმეზე?.....31
33. როგორ დავუკავშირდე მოსამართლის თანაშემწეს?.....31
34. მაქვს თუ არა უფლება, იურიდიული კონსულტაცია მივიღო სასამართლოში? დამეხმარებიან თუ არა განცხადების (სარჩელის) წერაში ან სასამართლო ფორმის შევსებაში?.....32
35. აქვს თუ არა სასამართლოს თავმჯდომარეს მიღების საათები?.....32
36. რა შემთხვევაში ფორმდება საპროცესო შეთანხმება და ვინ აფორმებს?.....33
37. აქვს თუ არა მოსამართლეს უფლება, არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება?.....33
38. შეიძლება თუ არა საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება?.....34
39. რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის ან მოწმის გამოუცხადებლობას?.....34
40. აქვს თუ არა მშობელს ან ახლო ნათესავს განაჩენის ასლის მიღების უფლება?.....35
41. როგორ შეიძლება საქმეზე არსებული ნივთმტკიცების დაბრუნება?.....35
42. აქვს თუ არა სასამართლოს უფლება, ბრალდებულს (მსჯავრდებულს) მისცეს ახლობლებთან შეხვედრის უფლება?.....36
43. სად და როგორ ხდება გირაოს გადახდა, გირაოს დაბრუნება?..... 36

1 როგორ უნდა შევავსო სარჩელი?

სარჩელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით და უნდა პასუხობდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

სარჩელის ფორმების მოძიება შესაძლებელია სასამართლოს მისაღებში და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე – www.hcoj.gov.ge.

სარჩელი (თუ იგი ფოსტით არ არის გაგზავნილი) მოსარჩელემ უნდა ჩააბაროს სასამართლოს კანცელარიის მისაღებში. სასამართლოს კანცელარია ამოწმებს სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს და უზუსტობის შემთხვევაში მოსარჩელეს (ან მის წარმომადგენელს) მიუთითებს მისი აღმოფხვრის შესახებ.

2 რას მივაქციო ყურადღება სარჩელის ფორმალური მხარის დასაცავად?

✔ სარჩელის ფორმაში აღნიშნულია თუ არა შემდეგი რეკვიზიტები: სასამართლოს დასახელება, მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის, მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის დასახელება და საკონტაქტო მონაცემები, დავის საგანი, სარჩელის ფასი, მოსარჩელის მოთხოვნა, სარჩელზე თანდართული დოკუმენტების ნუსხა, აგრეთვე მო-

სარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

- ✔ ერთვის თუ არა სარჩელს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და თუ არ ერთვის, შუამდგომლობის გრაფაში მითითებულია თუ არა შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, გადახდის გადავადების ან შემცირების შესახებ;
- ✔ ერთვის თუ არა სარჩელს თანდართული დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი;
- ✔ თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს, ერთვის თუ არა სარჩელს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✔ არის თუ არა სარჩელი ხელმოწერილი;
- ✔ წარდგენილია თუ არა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.

3 რომელ სასამართლოში უნდა შევიტანო სარჩელი?

სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიტანება მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4 შეიძლება თუ არა სასამართლოში სარჩელი ჩააბაროს მოსარჩელის ახლობელმა?

შესაძლებელია, მხოლოდ იგი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

5 რა შემთხვევაში დგინდება ხარვეზი განცხადებაზე ან სარჩელზე? რა შედეგებს იწვევს ხარვეზის შეუვსებლობა?

თუ სასამართლოში სარჩელი წარდგენილი არ იქნება დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს გონივრულ ვადას მის შესავსებად. ხარვეზის შევსება სავალდებულოა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში.

სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების შემთხვევაში სასამართლო მიიღებს სარჩელს წარმოებაში და განიხილავს.

დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს აღარ განიხილავს. აღნიშნული განჩინება მოსარჩელემ შესაძლებელია გაასაჩივროს კერძო საჩივრით.

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელეს სრულად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელე ვალდებულია თავისი და მოპასუხის მისამართი მიუთითოს ზუსტად, ვინაიდან თუ მოსარჩელისა და მოპასუხის მისამართი არა-

სწორი აღმოჩნდება, სასამართლო სარჩელს დატოვებს განუხილველად.

თუ სარჩელში მითითებულია მოსარჩელის ტელეფონის ნომერი, სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელზე დადგენილი ხარვეზის შესახებ შეტყობინება მოსარჩელეს (მის წარმომადგენელს) აცნობოს ტელეფონით, თუ ხარვეზი შეეხება სარჩელის ფორმალურ და არა შინაარსობრივ მხარეს. ასეთი წესით ინფორმირების შემთხვევაში ხარვეზის შესახებ განჩინება სატელეფონო შეტყობინების განხორციელების დღეს ჩაბარებულად ითვლება.

6 როგორ გავიგო სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე და რომელ ბანკში შევიტანო იგი?

- ✔ სარჩელზე, გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების, აგრეთვე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ განცხადებებზე; შეგებებულ სარჩელზე; მესამე პირის სარჩელებზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე; სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ სარჩელზე – დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;
- ✔ სააპელაციო საჩივრისათვის – დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა;
- ✔ საკასაციო საჩივრისათვის – დავის საგნის

ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა;

- ✔ კერძო საჩივარზე – 50 ლარს;
- ✔ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე, აგრეთვე საჩივარზე – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 50 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს;
- ✔ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 100 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარს;
- ✔ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებაზე – 50 ლარს;
- ✔ არაქონებრივ დავაზე – 100 ლარს;
- ✔ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე – შესაბამისად, 150 და 300 ლარს;
- ✔ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე, როცა საქმის მასალები მხარის ბრალით დაიკარგა – 100 ლარს;
- ✔ თამასუქის ან ჩეკის თაობაზე სარჩელზე – 100 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე – შესაბამისად, 150 და 300 ლარს;
- ✔ უდავო წარმოების საქმეზე – 50 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე – შესაბამისად, 100 და 300 ლარს;
- ✔ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 100 ლარს;
- ✔ საარბიტრაჟო წარმოებაში მოწმის დასწრების უზრუნველყოფასა და მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარების თაობაზე განცხადებაზე, არბიტრის დანიშვნასთან, აცილებასთან, უფლებამოსილების შეწყვეტასთან, კომპეტენციასთან დაკავშირებულ განცხადებაზე – 100 ლარს;

- ✔ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სარჩელზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე – საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მხარისათვის მიკუთვნებული ნივთის (თანხის) ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა, ხოლო თუ ნივთის ღირებულების დადგენა შეუძლებელია – 300 ლარს;
- ✔ საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების ან ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე, თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 50 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს.

მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში მითითებული ოდენობის ნახევარს.

ბაჟის გადახდა შეიძლება საქართველოს ნებისმიერი ბანკის როგორც ცენტრალურ ოფისში, ასევე მის ფილიალებში. სასამართლოს ანგარიშის რეკვიზიტები განთავსებულია სასამართლოთა ვებ-გვერდებზე, ასევე - ყველა სასამართლოს მისაღებში, თვალსაჩინო ადგილზე. გარდა ამისა, ანგარიშის რეკვიზიტები ცნობილია ყველა საბანკო დაწესებულებისთვის.

7 ვინ თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან?

საჯარო და სახელმწიფო ორგანიზაციების გარდა, სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

- ✔ ფიზიკური პირები - სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;
- ✔ მოსარჩელენი - სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;
- ✔ მოსარჩელენი - სარჩელებზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ;
- ✔ ფიზიკური და იურიდიული პირები - მათზე იმ დოკუმენტების გაცემისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლისა და ალიმენტის საქმეებთან;
- ✔ მოსარჩელენი - სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენლის სიკვდილით;
- ✔ ფიზიკური პირები - სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ;
- ✔ მოსარჩელე - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;
- ✔ მხარეები - საკასაციო საჩივრებზე განქორწინების საქმეების შეწყვეტის შესახებ;
- ✔ ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები,

სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები - ყველა სარჩელზე;

- ✔ მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
- ✔ მოსარჩელენი - სარჩელებზე ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ;
- ✔ მხარეები - სარჩელებზე მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია ფიზიკური პირის უკანონოდ გასამართლების, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ დაპატიმრების ან დაპატიმრების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად;
- ✔ იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები – საჩივრებზე მათი იძულებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად არცნობის შესახებ;
- ✔ ვეტერანები, რომლებმაც „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართეს სასამართლოს;
- ✔ მშობელი ან არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩლე – სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე;
- ✔ მოსარჩელე - უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ აღძრულ სარჩელებზე.

8 როგორ გავიგო, რა შემთხვევაში დამიბრუნდება ბაჟი სრულად ან ნაწილობრივ და ვის უნდა მივმართო?

მხარეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სრულად უბრუნდება, თუ:

- ✔ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი;
- ✔ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შემცირდება შემდეგ შემთხვევებში:

- ✔ თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება;
- ✔ თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად;
- ✔ თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

ბაჟის დაბრუნების ან შემცირების თაობაზე გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. ბაჟის დაბრუნებისთვის საჭიროა, მხარემ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი წარადგინოს საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლთან ერთად.

9 რა ვადებში განიხილავს სასამართლო საქმეებს?

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

თუ სარჩელი კანონით დადგენილი წესითაა შედგენილი და არ დადგინდა ხარვეზი, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები საქმეებს განიხილავენ სასარჩელო განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 5 თვემდე.

კანონი უშვებს გამონაკლის შემთხვევებსაც, როდესაც საქმეები სასამართლომ უნდა განიხილოს არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში, კერძოდ: დავა ალიმენტის გადახდის თაობაზე, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენლის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმეები, ასევე დავები შრომითი ურთიერთობებიდან და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმეები განიხილება საკასაციო საჩივრის შეტანიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

სისხლის სამართალწარმოებაში:

პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე განხილვის კონკრეტული ვადა დადგენილი არ არის. განხილვის ვადა საქმის სირთულის მიხედვით განისაზღვრება. პირველი ინსტანციის

სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ საპატიმრო ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს პირის დაკავებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში, ხოლო საჩივრის დასაშვებობის საკითხს წყვეტს საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმეები განიხილება საკასაციო საჩივრის შეტანიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

10 რამდენ დღეში მივიღებ განაჩენს, განჩინებასა და გადაწყვეტილებას?

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში, ამზადებენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. უზენაესი სასამართლოსთვის აღნიშნული ვადა შეადგენს 1 თვეს.

მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

სისხლის სამართალწარმოებაში:

განაჩენის ასლი მისი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა, უნდა გადაეცეს მსჯავრდებულს ან გამართლებულსა და პროკურორს.

პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით გადაეცემა იმავე ვადაში.

11 როდის შედის კანონიერ ძალაში გადაწყვეტილება?

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის:

- ✔ გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია საapელაციო წესით გასაჩივრება;
- ✔ სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;
- ✔ სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა;
- ✔ თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუქმებულა. ასევე იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

სისხლის სამართალწარმოებაში:

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად გადაეცემა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

12 რა ვადაში მიექცევა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები აღსასრულებლად?

გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებასაც.

13 რამდენ დღეში მივიღებ სააღსრულებო ფურცელს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე?

კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა. სააღსრულებო ფურცელი უნდა გაიცეს მხარის მიერ მისი მოთხოვნიდან 3 დღეში.

14 ვის შეიძლება მივმართო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ?

გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარის განცხადებით განმარტოს გადაწყვეტილება, თუ მისი სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების

განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება არ აღსრულებულა ან თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

15 რა ვადებში შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება?

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

შენიშვნა: სამოქალაქო სამართალწარმოებაში საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა განსხვავებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობისგან, კერძოდ: თუ სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ მისთვის კოდექსით დადგენილი წესით ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ოცდამეათე დღეს.

სისხლის სამართალწარმოებაში:

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი საჩივრდება განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან 1 თვის ვადაში.

16 სად შეიძლება შევიტანო კერძო საჩივარი? რა ვადაში და რომელი სასამართლო იხილავს მას?

კერძო საჩივრის შეტანა შესაძლოა იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული განჩინება.

კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მისი მხარისათვის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

კერძო საჩივარს იხილავს გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს ზემდგომი სასამართლო. ზემდგომ სასამართლოს განჩინება გამოაქვს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

17 როგორ გავეცნო განხილვის პროცესში არსებულ საქმეს?

მხარეებს უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერი, გადაიღონ ასლები, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართონ სასამართლოს.

18 როგორ ხდება საარქივო საქმეების გაცნობა და ასლების გადაღება?

საარქივო მასალების გაცნობა და გადაღება ხდება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს ნებართვით და გაიცემა დამუშავებული სახით.

19 სად და როგორ გადავიღო საქმის მასალების ასლები?

საქმის მასალების გაცნობასა და ასლების გადაღებას უზრუნველყოფს სასამართლო.

კანონის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს:

- ✔ 4 და 5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს;
- ✔ ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს;
- ✔ კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს;
- ✔ დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს;
- ✔ ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი – 2,75 ლარს;
- ✔ ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს.

20 როდის შეიძლება გავეცნო სხდომის ოქმს შენიშვნებისთვის?

ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის სხდომის ოქმი, იურიდიული ძალის მქონეა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის შემდეგ. ამდენად, მხარის მიერ სხდომის ოქმის გაცნობა შენიშვნების გასაკეთებლად შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს სხდომის მდივნისა და სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) ხელმოწერის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეებზე – 5 დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე – 3 დღე-ღამის განმავლობაში.

21 მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება თუ არა მინდობილობით მის ნაცვლად ახლობლის გამოცხადება?

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

მხარეს უფლება აქვს, თავისი საქმე სასამართლოში აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქის მიერ გაცემული მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს კანონის დაცვით. პირველი ინსტანციის სასამართლოში სავალდებულო არ არის, წარმომადგენელი იყოს ადვოკა-

ტი. ამასთან, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები მხარის უფლებების დასაცავად.

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ ადვოკატი.

სისხლის სამართალწარმოებაში:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მხარის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მინდობილობით მისი ახლობლის პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას.

22 აუცილებელია თუ არა პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატის მონაწილეობა?

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

სასამართლო პროცესისათვის ადვოკატის აყვანა აუცილებელი არ არის, თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ მას გააჩნია საკმარისი ცოდნა საკუთარი უფლებების სათანადოდ დასაცავად.

სისხლის სამართალწარმოებაში:

ბრალდებულს აქვს როგორც ადვოკატის არჩევის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ მას არ გააჩნია სათანადო სახსრები, უფლება აქვს, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ამასთან, ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის

მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი.
ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

- ✔ ბრალდებული არასრულწლოვანია;
- ✔ ბრალდებულმა არ იცის სახელმწიფო ენა, რომელზეც მიმდინარეობს პროცესი;
- ✔ ბრალდებულს აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც მას ხელს უშლის საკუთარი დაცვის განხორციელებაში;
- ✔ ბრალდებულის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ✔ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება ისჯება უვადო თავისუფლების აღკვეთით;
- ✔ ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- ✔ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- ✔ ბრალდებული თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- ✔ ბრალდებული გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- ✔ ბრალდებული არაიდენტიფიცირებული პირია.

23 როგორ ნაწილდება საქმეები მოსამართლეებს შორის?

კანონის თანახმად, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები მოსამართლეთა შორის ნაწილდება სასამართლოში საქმის შემოსვლის თანამიმდევრობის მიხედვით.

სასამართლოში საქმეების განაწილების მიზნით მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში – მომდევნო ასოს მიხედვით.

შემოსვლის რიგით ყოველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგითობით მომდევნო მოსამართლეს. მოსამართლეთა რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია, ხელახლა განსაზღვროს მოსამართლეთა რიგითობა.

24 შეიძლება თუ არა, მოვითხოვო საქმის განაწილება კონკრეტულ მოსამართლეზე?

კანონმდებლობით დაუშვებელია რომელიმე კონკრეტულ მოსამართლეზე საქმის განაწილების მოთხოვნა.

25 რა შემთხვევაში და რომელ სტადიაზე შემიძლია მოსამართლის აცილება?

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

მხარეებს შეუძლიათ, წერილობით განაცხადონ აცილება, რომელიც უნდა იყოს მოტივირებული და გაკეთდეს საქმის წინასწარი განხილვისთვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე.

მოსამართლის აცილების საფუძვლებია:

- ✔ მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სხვა ინსტანციის სასამართლოში;
- ✔ სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას.

მოსამართლემ ასევე არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

- ✔ ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
- ✔ ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
- ✔ მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- ✔ პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის მიუკერძოებლობას.

სისხლის სამართალწარმოებაში:

მოსამართლის აცილების საფუძველია, თუ:

- ✔ იგი კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული;
- ✔ იგი ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;
- ✔ იგი არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;
- ✔ ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;
- ✔ არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას;
- ✔ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, საapელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში.

საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის აცილების შუამდგომლობას მხარეები აყენებენ სასამართლოში.

26 როგორ მოვიძიო ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით?

მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი (აგრეთვე სასამართლო დარბაზი). მხარეებს შეუძლიათ, ასევე თავად მიიღონ ინფორმაცია საქმის განხილვის მიმდინარეობის შესახებ. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია როგორც სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით, ისე მოსამართლის თანაშემწისგან საქმის კონკრეტულ მოსამართლეზე განაწილების შემდეგ.

სასამართლოში შესული საქმის განაწილებისა და მდგომარეობის, განსახილველ საქმეთა ყოველკვირეული განრიგის, სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაციის მოძიება მოქალაქეს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია შესაბამისი სასამართლოს ინტერნეტ-მისამართზე, რომელთა ნახვაც შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე – (www.supremecourt.ge).

27 შეიძლება თუ არა სხდომაზე დაგვიანებით შესვლა?

მხარე ან სხდომაზე დასწრების მსურველი ნებისმიერი პირი სასამართლოში უნდა გამოცხადდეს სხდომის დაწყებამდე. სასამართლო სხდომაზე დაგვიანებით შესვლა დაუშვებელია.

28 რა სახის იძულებითი ღონისძიებები გამოიყენება სხდომაზე წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ?

თუ პროცესში მონაწილე ან სხდომაზე დამსწრე პირი არღვევს წესრიგს, არ ემორჩილება სხდომის თავმჯდომარის განკარგულებას, ან გამოხატავს სასამართლოსადმი უპატივცემულობას, მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აჯარიმებს 50-დან 500 ლარამდე ოდენობით (სისხლის სამართალწარმოებაში წესრიგის დამრღვევი ჯარიმდება 50-დან 5000 ლარამდე ოდენობით), აძევებს სასამართლოს სხდომის დარბაზიდან ან შესაძლებელია მისი დაპატიმრება 30 დღემდე ვადით.

29 შეიძლება თუ არა მხარეების თხოვნით პროცესის ნაადრევად დანიშვნა?

მხარეების თხოვნით სხდომის ნაადრევად დანიშვნა არ შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ საქმის მწარმოებელი ორგანო – სასამართლოა უფლებამოსილი, დანიშნოს სხდომა კანონით განსაზღვრულ ვადაში.

30 ტელეფონით დაბარების შემთხვევაში დაველოდო თუ არა უწყების მიღებას?

სასამართლო უწყება იგზავნება როგორც ტელეფონით, ასევე, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა.

სატელეფონო შეტყობინების განხორციელების თაობაზე დგება შესაბამისი აქტი, რომელიც ჩაეკერება საქმეში და რომლითაც დასტურდება უწყების ჩაბარება.

31 თუ მხარეს უწყება ვერ ჩაჰბარდა, რა სამართლებრივი შედეგი დადგება?

მოსარჩელე ვალდებულია, მიუთითოს როგორც მისი, ასევე მოპასუხის მისამართი. მას ევალება სწორი მისამართის მითითება.

თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა, განმეორებით მისი გაგზავნის შემდეგ უწყება უკვე ჩაბარებულად ჩაითვლება.

იმ შემთხვევაში, თუ უცნობია მოპასუხის ამჟამინდელი და ყოფილი საცხოვრებელი ადგილი, ასევე მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი და სამუშაო ადგილი, სარჩელი განუხილველად რჩება.

მისამართის შეცვლისას მხარეები ვალდებულნი არიან, აღნიშნულის თაობაზე აცნობონ სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ჩაითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

ადრესატის მოუძიებლობის შემთხვევაში უწყება ჰბარდება ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ჰბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ასეთ შემთხვევაში ადრესატისთვის უწყება ჩაბარებულად ითვლება.

თუ ადრესატი ან მისი ოჯახის ქმედუნარიანი წევრი ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაცია უარს ამბობს უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება.

32 მაქვს თუ არა უფლება, შევხვდე მოსამართლეს ან ტელეფონით ვესაუბრო მის წარმოებაში არსებულ საქმეზე?

კანონის მიხედვით, აკრძალულია პროცესის მონაწილეთა, დაინტერესებულ პირთა და საჯარო მოსამსახურეთა მოსამართლესთან ურთიერთობა საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მოსამართლესთან აკრძალული ფორმით ურთიერთობის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ჯარიმას.

მოქალაქე, თავის საქმესთან დაკავშირებით, შეიძლება შეხვდეს მხოლოდ მოსამართლის თანაშემწეს.

33 როგორ დავუკავშირდე მოსამართლის თანაშემწეს?

მოსამართლის თანაშემწე იღებს მოქალაქეებს, მათ საჩივრებსა და განცხადებებს, ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომებზე განსახილველად. მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირება ხდება სასამართლოს შენობის პირველ სართულზე განთავსებული მოქალაქეთა მისაღებიდან, სადაც თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული სასამართლოს თანამშრომელთა შიდა და ქალაქის ტელეფონის ნომრები).

34 მაქვს თუ არა უფლება, იურიდიული კონსულტაცია მივიღო სასამართლოში? დამეხმარებიან თუ არა განცხადების (სარჩელის) წერაში ან სასამართლო ფორმის შევსებაში?

სასამართლო არ გასცემს კონსულტაციებს იურიდიულ საკითხებზე. უფასო იურიდიული დახმარების მიღება მოქალაქეს შეუძლია მხოლოდ ადვოკატთან ან საამისოდ სპეციალიზებულ რომელიმე ორგანიზაციაში. სასამართლოს თანამშრომელს არ აკისრია ვალდებულება, დაეხმაროს მხარეს სასარჩელო ფორმის შევსებაში, თუმცა სასამართლოს კანცელარია ვალდებულია, შეამოწმოს სარჩელის ან განცხადების ფორმალური (და არა შინაარსობრივი) მხარე და უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში სარჩელის ან განცხადების შემომტანს მიუთითოს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

35 აქვს თუ არა სასამართლოს თავმჯდომარეს მიღების საათები?

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეს შეუძლია, წერილობით მიმართოს სასამართლოს თავმჯდომარეს, მენეჯერს ან შესაბამისი მოსამართლის თანაშემწეს.

36 რა შემთხვევაში ფორმდება საპროცესო შეთანხმება და ვინ აფორმებს?

სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება.

საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე.

საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს.

37 აქვს თუ არა მოსამართლეს უფლება, არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება?

მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

თუ სასამართლო ჩათვლის, რომ არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების თაობაზე წარდგენილია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს ან იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითი განხილვის თაობაზე.

38 შეიძლება თუ არა საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება?

მსჯავრდებულს, განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში, უფლება აქვს, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების გაუქმების თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით; ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება; საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო კანონის არსებითი მოთხოვნა.

პროკურორს განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა, დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში.

39 რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის ან მოწმის გამოუცხადებლობას?

პირი, რომელსაც კანონით დადგენილ შემთხვევებში იძახებს სასამართლო, ვალდებულია, გამოცხადდეს ზუსტად დანიშნულ დროს და ადგილას.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროცესის მონაწილე შეიძლება იძულებით მიიყვანონ სასამართლოში.

არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას პირს ეკისრება ჯარიმა – 100-დან 5000-მდე ლარის ოდენობით.

40 აქვს თუ არა მშობელს ან ახლო ნათესავს განაჩენის ასლის მიღების უფლება?

განაჩენის ასლი გადაეცემათ მსჯავრდებულს ან გამართლებულსა და პროკურორს, ხოლო პროცესის სხვა მონაწილეს – მხოლოდ მისი მოთხოვნის საფუძველზე. თუ მშობელი და სხვა ახლო ნათესავი არ არიან პროცესის მონაწილენი, მათ არა აქვთ უფლება, მიიღონ განაჩენის ასლი.

41 როგორ შეიძლება საქმეზე არსებული ნივთმტკიცების დაბრუნება?

სასამართლოს გადაწყვეტილებით დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს. ნივთმტკიცება მესაკუთრეს (მფლობელს), როგორც წესი, დაუბრუნდება განაჩენის აღსრულებისას და არა საქმის განხილვის პროცესში.

42 აქვს თუ არა სასამართლოს უფლება, ბრალდებულს (მსჯავრდებულს) მისცეს ახლობლებთან შეხვედრის უფლება?

მოსამართლე არ იღებს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, როგორიცაა ბრალდებულის შეხვედრა ახლობლებთან.

43 სად და როგორ ხდება გირაოს გადახდა, გირაოს დაბრუნება?

გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება.

ფულადი თანხა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს, ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ – სხვა პირს.

ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილ უძრავ ქონებას ედება ყადაღა.

ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

www.supremecourt.ge